დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109241443**
თარიღი:**23/05/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,პისი მაქს“ ს.ნ 206343875 შორის 2021 წლის 26 აპრილს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N58-ში“ ცვლილებების შეტანაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.დ “ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 588-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და შპს ,,პისი მაქსის“ (ს.ნ 206343875) 2024 წლის 26 აპრილის N4179 და შპს ,,სქაიტელის“ ს.ნ 400013748 წერილების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,პისი მაქს“ (ს.ნ 206343875) შორის 2021 წლის 26 აპრილს დადებული ,,იჯარის ხელშეკრულება N58-ში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ შპს ,,სქაიტელის“ (ს.ნ 400013748) სახელზე საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი